ქალაქ ქუთაისში, კიევის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის
N7 ოთახზე, მოქალაქე მაყვალა ბზიკაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა კიევის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N7 ოთახში მცხოვრები მოქალაქე მაყვალა ბზიკაძის განცხადება /2012 წლის 21.09 Nბ–8060/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ოთახზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, კიევის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N7ოთახი/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, კიევის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N7 ოთახზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მაყვალა ბზიკაძეს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, კიევის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N7 ოთახზე /საერთო ფართობი 25,00 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 25,00 კვ.მ./ მოქალაქე მაყვალა ბზიკაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიანმა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი ბ.ბრეგაძე